განმარტებითი ბარათი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების ძირითად მიზეზს წარმოადგენს სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალგაზრდა პერსპექტიული პედაგოგიური კადრებისათვის სათანადო პირობების შექნმა, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ სრულფასოვნად ჩაერთონ საგანმანათლებლო პროცესში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ სტუდენტებისათვის შემოქმედებითი და საშემსრულებლო სპეციალობების ათვისებაში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზნს წარმოადგენს იმ ახალგაზრდა, პერსპექტიული კადრების საგანმანათლებლო პროცსში ჩართვა, რომელთაც მიენიჭათ მაგისტრის აკადემიური ხარისხი და სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ასისტენტ-პროფესორის თანამდებიბს დასაკავებლად გამოცხადებულ არჩევნებში ან მიენიჭათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და დაწესებულების შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე უფლება მიეცემათ დაინიშნონ ასისტენტის თანამდებიბაზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვთ სახელოვნებო - შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით. ხოლო ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი 2 ან 3 წლის ვადით დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი ალექსანდრე ქანთარია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი ალექსანდრე ქანთარია.